



4161/3-74/22 2 11052022



4161/3-74/22
11-05-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

გაცნობებთ, რომ ჩემი, როგორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში იურიდიული კომიტეტის წევრის, ინიციატივით 2021 წლის იანვარში დაინიცირდა შუამდგომლობა – კოვიდ-19 და ევროპული ციხეების მოსახლეობა.

2021 წლის აპრილში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულმა კომიტეტმა მე ამირჩია აღნიშნულ შუამდგომლობაზე მომხსენებლად, რის საფუძველზეც დამევალა შესაბამისი ანგარიშისა და რეზოლუციის პროექტის მომზადება.

ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე უნდა ჩატარდეს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კვლევა ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც მომზადდება ანგარიში, ხოლო ანგარიშის საფუძველზე შემუშავდება რეზოლუციის პროექტი.

კვლევის ჩატარება განხორციელდება ევროპის საბჭოს ქვეყნებში წინასწარ მომზადებული კითხვარის შესაბამისად.

ამასთან, კითხვარით გათვალისწინებული პერიოდი გულისხმობს 01.01.2020-დან 01.01.2022-მდე პერიოდს.

გიგზავნით ზემოხსენებულ კითხვარს დანართის სახით და გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში, მოგვაწოდოთ პასუხები.

დანართი: კითხვარი - 19 ფ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გივი მიქანაძე